პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 45 (3529)

1968 წ. 5 მარტი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ო. ეგაძე — უძლიერესი

ალმა-ათა, 4 მარტი. სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ აქ დამთავრდა სახელოვანი რუსი მოჭიდავის ი. პოდუბნის მემორიალი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის უძლიერესი „კლასიკოსები".

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაისაკუთრეს: ი. კოჩერგინმა (როსტოვი), ო. ეგაძემ (თბილისი), ი. ზაიცევმა (მოსკოვი), ვ. სტოიჩევმა (ბულგარეთი), ვ. იგლევმა (მოსკოვის ოლქი), ვ. ოლეინიკმა (ნოვოკუზნეცკი), ვ. მერკულოვმა (ვორონეჟი), ა. იურკევიჩმა (მოსკოვი), ა. როშჩინმა (ლენინგრადი).

როგორც ხედავთ, 8 წონით კატეგორიაში 9 გამარჯვებულია: ეს იმიტომ მოხდა, რომ ი. პოდუბნის მემორიალის ისტორიაში პირველად ერთ წონაში (ქვემძიმეში) ორმა გაიმარჯვა: მერკულოვმა და იურკევიჩმა. მათ საჯარიმო ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს და გაფრთხილებაც თანაბრად მიიღეს, ერთმანეთში ბრძოლა კი ფრედ დაამთავრეს. მართლაც, იშვიათი შემთხვევაა.

## იღბლიანი ჩოგნები

ლონდონში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ინგლისის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, სადაც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი ქალებიცა და ვაჟებიც გუნდური შეჯიბრების ფინალში გავიდნენ, მაგრამ აქ ბედმა უმუხთლათ: ქალებმა წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან, ვაჟებმა კი იუგოსლავიელებთან. ანგარიში ერთნაირი იყო — 2:3.

სამაგიეროდ, საბჭოთა სპორტსმენები უკეთ გამოვიდნენ პირად შეჯიბრებაში. ხუთი პირველი პრიზიდან სამი ჩვენებმა იგდეს ხელთ. ს. გომოზკოვმა ფინალში დაამარცხა უნგრელი პ. როჟაში (3:0). შემდეგ მანვე ზ. რუდნოვასთან ერთად მოიგო ფინალური შეხვედრა ინგლისელების დუეტთან — მ. რაიტთან და დ. ნილთან (3:0). ქალთა წყვილებში პირველობა კვლავ საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ, ზ. რუდნოვამ და ს. გრინბერგმა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს რუმინელებს — მ. ალექსანდრუს და ე. მიხალკის.

## მაღალი წოდება

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ქუთაისელ არბიტრს ზ. თოდაძეს.

## დარჩა გადამწყვეტი ტური

ნოვოსიბირსკსა და კიევში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის პირველი ტურის მატჩები. მოგვყავს ბოლო 3 კალენდარული დღის შედეგები.

**ნოვოსიბირსკი.** „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — სპი (თბილისი) 50:43, „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 50:48, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — ასკ (ლენინგრადი) 54:42, „დინამო" (მოსკოვი) — ასკ 40:31, „კიბირკშტისი" — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 50:46, „სპარტაკი" — სპი 62:41, „დინამო" (ნოვოსიბირსკი) — სპი 65:64, „სპარტაკი" — „დინამო" (მოსკოვი) 67:55, ასკ (ლენინგრადი) — „კიბირკშტისი" 40:37.

კიევი. „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) 53:37, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „პოლიტექნიკა" (კაუნასი) 55:40, ტტტ (რიგა) — „დინამო" (კიევი) 74:44, „ბურევესტნიკი" — „პოლიტექნიკა" 64:54, ტტტ — „ურალმაში" 59:53, „დინამო" — „ტექსტილმაში" 59:43, „ურალმაში" — „ტექსტილმაში" 78:54, „ბურევესტნიკი" — „დინამო" 54:43 (მოგვყავს აგრეთვე 14 კალენდარული დღის ერთი შეხვედრის შედეგი, რომელიც ადრე ვერ გამოვაქვეყნეთ: „დინამო" (კიევი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 52:45.

სსრ კავშირის ჩემპიონის საკითხს გადაწყვეტს ბოლო ტურის მატჩები, სადაც ნოვოსიბირსკის ჯგუფის წარმომადგენლები „კიეველებს" შეხვდებიან.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ (რიგა) | 15 | 15 | 0 | 15 |
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 16 | 13 | 3 | 13 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 16 | 11 | 5 | 11 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 16 | 11 | 5 | 11 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 16 | 9 | 7 | 9 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 8 | 8 | 8 |
| „დინამო" (კიევი) | 16 | 6 | 10 | 6 |
| სპი (თბილისი) | 16 | 6 | 10 | 6 |
| „დინამო" (ნოვოსიბირსკი) | 16 | 5 | 11 | 5 |
| ასკ (ლენინგრადი) | 16 | 5 | 11 | 5 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 15 | 3 | 12 | 3 |
| „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) | 16 | 3 | 13 | 3 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტტტ-სა და „პოლიტექნიკას" მატჩი გადატანილია, რადგან ლატვიელი კალათბურთელები ემზადებიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი მატჩის ჩასატარებლად.

## სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

## ლიდერი კვლავ ერთპიროვნულია

**ლენინგრადი, 4 მარტი.** გუშინ ადგილობრივმა „სპარტაკმა" მეორე მატჩიც მოუგო რიგის ასკ-ს — 81:68.

**გუშინ...**

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი „დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ). გაიმარჯვეს დინამოელებმა — 67:60 (28:31).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 26 | 19 | 7 | 1839—1755 | 19 |
| ასკ (კიევი) | 26 | 18 | 8 | 1844—1698 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 25 | 17 | 8 | 1854—1714 | 17 |
| ცსკა | 26 | 15 | 11 | 1633—1588 | 15 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 24 | 14 | 10 | 1600—1569 | 14 |
| ვეფ (რიგა) | 26 | 14 | 12 | 1869—1819 | 14 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 26 | 14 | 12 | 1874 1825 | 14 |
| „კალევი" (ტარტუ) | 25 | 13 | 12 | 1645—1608 | 13 |
| ასკ (რიგა) | 26 | 11 | 15 | 1871—1888 | 11 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 24 | 11 | 13 | 1558—1526 | 11 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 28 | 4 | 24 | 2031—2383 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 24 | 3 | 21 | 1619—1878 | 3 |



## ბოლოა?..

ჟენევაში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. შაბათს გვიან ღამემდე ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობდნენ ქალები. შესანიშნავმა ამერიკელმა სპორტსმენმა პ. ფლემინგმა როგორც გრენობლში, აქაც უკვე სავალდებულო პროგრამის შემდეგ დააგროვა იმდენი ქულა, რომ მისი ჩემპიონობა ეჭვს აღარ იწვევდა. ასეც მოხდა: ბეგი საპატიო კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე დადგა 2269,7 ქულით. გ. ზაიფერტმა (გდრ) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროპაში უძლიერესია. ჩვენი კონტინენტიდან მან ამჯერადაც არავინ გაუშვა წინ (2179,8). III ადგილზე გავიდა 18 წლის პრაღელი ფიგურისტი ჰ. მაშკოვა (2121,5). საბჭოთა ფიგურისტმა ე. შჩეგლოვამ დაიკავა X ადგილი.

კორესპონდენტებთან საუბარში ფლემინგმა განაცხადა: „10 წლის მანძილზე ყოველდღიურად 5-7 საათს ვვარჯიშობდი. კმარა, ახლა უნდა დავისვენო და მშვიდად დავამთავრო კოლეჯის ბიოლოგიური ფაკულტეტი. შეიძლება ჟენევის მსოფლიო ჩემპიონატი ჩემთვის ბოლო შეჯიბრებაც კი იყოს".

გუშინწინ მსოფლიოს საუკეთესო ფიგურისტებმა საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს. ხალხით გაჭედილი დარბაზი ტაშით ხვდებოდა ჩემპიონატის მონაწილეებს, რომლებმაც ამჯერად უფრო გაბედულად (ბუნებრივია, ახლა აღარავის ჰქონდა ქულების დაკარგვის შიში) აჩვენეს თავიანთი ოსტატობა.

ეს სურათი გრენობლის ოლიმპიადაზეა გადაღებული. საპატიო კვარცხლბეკზე ჟენევაშიც ეს სპორტსმენები დადგნენ და საპრიზო ადგილები ორივეჯერ ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით გაინაწილეს. მარცხნიდან: გ. ზაიფერტი, პ. ფლემინგი და ჰ. მაშკოვა.

## „კოლიზეუმ - არენაში"

როგორც ვიუწყებოდით, ოკლენდის დარბაზ „კოლიზეუმ-არენაში" დამთავრდა აშშ-ს მძლეოსანთა ზამთრის ღია ჩემპიონატი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯ. რაიანი, თ. სმითი, რ. მათსონი, ნ. სტეინჰაუერი ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ (შეჯიბრების ორგანიზატორ ააიუ-სა და სტუდენტთა ეროვნული ასოციაციის შორის ბრძოლის ბოიკოტის ნიშნად), ოკლენდში ბევრი მაღალი შედეგია ნაჩვენები. ე. მაკ-კალომმა 60 იარდზე თარჯრბენში მსოფლიო მიღწევა გაიმეორა — 6,8; 60 იარდზე თარჯრბენში ქალთა შორის გამარჯვებულმა პ. ვანვულველეირმა მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 7,4. ტენესის შტატის უნივერსიტეტის გუნდმა (ვ. ტაიუსი, მ. დანიელი, კ. დენისი, მ. რენდერი) შარშანდელ მსოფლიო მიღწევას ესტაფეტაში 4×160 იარდზე 1,6 წამი ჩამოაკლო; „მერკიურეტსის" კვარტეტმა ლოს-ანჯელოსიდან (ჯ. კოტი, პ. გლენი, დ. დებიუსკი, ბ. ფერელი) 4×220 იარდზე რბენაში 1.45,1 აჩვენა. ეს შედეგი 1,5 წამით სჯობს ძველ მსოფლიო მიღწევას.

* * *

ოკლენდიდან სპორტსმენებმა კლივლენდში გადაინაცვლეს. აქ კვლავ ისახელეს თავი საბჭოთა მძლეოსნებმა: გავრილოვი ამჯერად 213 სანტიმეტრზე გადახტა, მაგრამ ვინაიდან ს. ოლბრაიტს (აშშ) ამავე სიმაღლის გადალახვისთვის მეტი ცდა დასჭირდა, გავრილოვის გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ტალიშევა 50 იარდზე თარჯრბენში გამოვიდა და მოიგო — 6,0. ო. რაიკომ III ადგილი დაიკავა 1 მილზე რბენაში — 4.09,5.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისთვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ ს. იტონმა კლივლენდის მახლობლად თავის ვილაში მიიღო საბჭოთა მძლეოსნები. ფერმის დათვალიერების შემდეგ ს. იტონმა საუზმე გაუმართა ჩვენს სპორტსმენებს. საუზმეს ესწრებოდნენ კლივლენდის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

◆ **ლოს-ანჟელოსი,** 4 მარტი. 3 დიდოსტატის მატჩ-ტურნირის ბოლო შეხვედრა ვ. ჰორტსა და ს. რეშევსკის შორის ყაიმით დამთავრდა. მატჩ-ტურნირის სამივე მონაწილემ — ლ. შტეინმა, ჰორტმა და რეშევსკიმ 4-4 ქულა მოაგროვა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის მერვე პრეტენდენტი გახდა რეშევსკი.

◆ **ტალინი,** 4 მარტი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის XVIII გუნდური ჩემპიონატი ხამბოში. მოსკოველმა არმიელებმა ფინალში დაამარცხეს თბილისის დინამოელები — 5:3. III ადგილზე გავიდნენ კიშინიოვის „მოლდოვას" მოჭიდავეები.

◆ **ლაჰტი,** 4 მარტი: მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა, კიროველმა ვ. დრიაგინმა ორჭიდში 434,33 ქულა მოაგროვა და პირველობა მოიგო. ლენინგრადელი მ. არტიუხოვი VI იყო, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი რ. მაკარა — VII. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვედმა ტ. გუსტაფსონმა მოიგო 10 კილომეტრზე რბენა — 33.32,0. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო ნ. შებალინა (VII ადგილი). 15 კილომეტრზე რბენაში ყველას პ. ტილდუმ (ნორვეგია) აჯობა — 50.39,0, ფ. სიმაშოვმა მე-14 ადგილი დაიკავა — 52.42,0. 50 კილომეტრზე ასპარეზობა მოიგო ა. რენლუნდმა (შვეცია) — 2.45,01, ვ. ვედენინი VI ადგილს დასჯერდა — 2.48.29. ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ვ. კანკონენმა (ფინეთი) — 224,0 ქულა. ა. ივანიკოვმა 208,8 ქულა მოაგროვა (IV ადგილი).

# ერთი წლის მანძილზე

ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ საიუბილეო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების შეჯამებასა და შემდგომ ამოცანებს მიეძღვნა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა.

მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ი. ბოჭორიძე.** მან თქვა, რომ საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციები, რაიონული, საოლქო და ცენტრალური საბჭოები დროულად ჩაებნენ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში, თავგამოდებით იბრძოდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისთვის და დაუფასდათ კიდეც — ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებს ყველა მაჩვენებელი ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს.

საიუბილეო წელს „განთიადის" თითქმის ყველა ფიზკულტურულ კოლექტივში მოგვარდა ალიცხვამეურნეობა, სისტემატურად ტარდებოდა შიდასაკოლექტივო ტურნირები, დიდი ყურადღება ეთმობოდა თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების აღზრდას. ყოველივე ამან განაპირობა, რომ 943 განთიადელმა სპორტის ოსტატისა და პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა (გეგმით კი 310 სპორტსმენს უნდა შეესრულებინა). მომზადდა სხვა თანრიგების 25 ათასამდე სპორტსმენი, 225 პროცენტითაა განაღდებული საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, 198 პროცენტით — ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეებისა და ფიზორგების, 213 პროცენტით — მსაჯების აღზრდის გეგმები.

— ეს იყო „განთიადის" 10 წლისთავის ღირსეული აღნიშვნა,—თქვა ი. ბოჭორიძემ, — ჩვენი სპორტსმენები და ფიზკულტურული ორგანიზაციები მარტო გეგმების შესრულებას როდი დასჯერდნენ, ამაღლდა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობა, უფრო ხშირად ტარდებოდა მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, იმატა ფიზკულტურის კოლექტივებისა და ფიზკულტურელთა რიცხვმა.

შარშან განსაკუთრებით კარგად იმუშავეს აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ბორჯომის, ხაშურის, ფოთის, ტყიბულის, ჭიათურის საბჭოებმა, თბილისის სპორტულმა კლუბებმა „უშბამ", „ფეიქარმა", „განთიადმა", რუსთავის „ფოლადმა", თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, ელმავალმშენებელი ქარხნის, საკონდიტრო კომბინატისა და სხვათა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს დელეგაციამ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში V ადგილი შეინარჩუნა და ამ წარმატებაში განთიადელებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. საკავშირო სპარტაკიადაში ამ საზოგადოების 108 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამას „განთიადმა" მიაღწია საზოგადოების სპარტაკიადების მასობრიობით: შეჯიბრების ყველა ეტაპზე 160 ათასი ფიზკულტურელი გამოვიდა, 19 ათასმა კი სათანრიგო მოთხოვნები შეასრულა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო სპარტაკიადაში სპორტკლუბ „გამარჯვების" ძალოსნების, მოცურავეებისა და ველოსიპედისტების, „განთიადის" ტანმოვარჯიშე ქალების მიერ მოპოვებულ მაჩვენებლებზე. მან აღნიშნა, რომ ამ შეჯიბრებაში წარუმატებლად მხოლოდ ველოსიპედისტები გამოვიდნენ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საავიაციო ქარხანაში, სართავსატრიკოტაჟო კომბინატში, ქუთაისის ავტოქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სპორტკლუბ „უშბაში" და სხვაგან შექმნილია და რეგულარულად მუშაობენ ბავშვთა სპორტული სკოლები, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები. „განთიადის" სისტემის საწარმო-დაწესებულებებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სათანადოდ წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტებმაც. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, ელექტრომრეწველობისა და ელექტროსადგურების, მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტები.

ბოჭორიძემ თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო სპორტული ბაზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ შარშან ამ მხრივაც ბევრი რამ გაკეთდა — თბილისის საავიაციო ქარხანაში დამთავრდა მშენებლობა 25-მეტრიანი აუზისა, რომელსაც წყლის გათბობაც აქვს. აქვე საძირკველი ჩაეყარა ბავშვთა ტანვარჯიშული სკოლის დარბაზსა და 50-მეტრიან აუზს, მცხეთაში დაიწყო და წლეულს დამთავრდება წყალჯომარდობის სადგურის, ხოლო სოხუმში — წყალში სახტომი კოშკის მშენებლობა. აუზის მშენებლობა დაამთავრეს ჭიათურაშიც. კომპლექსური, ჩვენს რესპუბლიკაში საუკეთესო აუზი შენდება ქუთაისში, განზრახულია ზამთრის აუზის აგება ფოთში, აუზისა და ტანვარჯიშული დარბაზისა — წულუკიძეში და სხვ.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო საწარმოო ტანვარჯიშისა და ტურიზმის განვითარების საკითხს, ჯანმრთელობის სპარტაკიადებსა და სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. ბოჭორიძემ აღნიშნა, რომ ამ მხრივ საქმე განსაკუთრებით კარგად იყო აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბორჯომის, სამტრედიის, გორის, სიღნაღის, ხაშურის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. შარშან საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რიცხვმა 107 ათასს მიაღწია. ნადირობის, თევზჭერის საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელ ჯგუფებში ჩაბმულთა რიცხვმა—36 ათასს.

ბოჭორიძე არც ნაკლოვანებათა მხილებას მორიდებია. როგორც მან აღნიშნა, ზოგიერთი რაიონული, საქალაქო საბჭო, ფიზკულტურული კოლექტივი, ხეირიანად ვერ იყენებს მუშაობის გასაშლელად არსებულ პირობებს. მაგალითად გამოდგება „განთიადის" მარნეულის რაისაბჭო. ამ ორგანიზაციაში მოუგვარებელია შინამეურნეობა, იშვიათად ტარდება პრეზიდიუმის სხდომები, კოლექტივებს შორის გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება, არავინ ზრუნავს მარტივი ტიპის ბაზების მშენებლობისთვის.

ასეთივე მდგომარეობაა ახალციხის რაიონში. ამ რაიონის 23 ფიზკულტურული კოლექტივიდან უმეტესობას არავითარი სპორტული ბაზა არა აქვს. ენერგოგასაღების კანტორაში, თაბაშირის, საკონსერვო, ლუდის ნედლეული მასალების ქარხნებში და სხვაგან ფიზკულტურული კოლექტივებიც კი არ შეუქმნიათ. უფრო მეტიც, ამ რაიონის საწარმო-დაწესებულებების პროფკავშირული ორგანიზაციები ფიზკულტურული მუშაობისთვის განკუთვნილ თანხასაც ვერ ითვისებენ. მაგალითად, ახალციხის მუშათა მომარაგების პროფკავშირმა 350 მანეთიდან სპორტულ საქმიანობას მხოლოდ 112 მანეთი მოახმარა, სამონტაჟო უბნის ადგილკომს კი 120 მანეთიდან კაპიკიც არ დაუხარჯავს. ახალციხის რაისაბჭოში არც საწევრო ანარიცხების აკრეფასა და დოკუმენტაციის სწორ გაფორმებას ექცევა ყურადღება.

სასიქადულო ბევრი რამ არც ზუგდიდის რაისაბჭოს აქვს. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ენგურჰესის მშენებლობის მთავარი სამმართველოს სისტემის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. პროფკავშირების მიერ ფიზკულტურული მუშაობის განვითარებისთვის გამოყოფილი 2400 მანეთი დახარჯულია მხოლოდ... ბილიარდის მაგიდების შესაძენად.

ცუდად მუშაობენ გურჯაანის, მცხეთის, აბაშის, ცხაკაიას, წყალტუბოს კოლექტივები, ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის, მე-3 წისქვილის, ტრიკოტაჟის № 2, ტყავის № 1, ავეჯის № 1 ფაბრიკების, თბილქალაქპროექტის ფიზკულტურული ორგანიზაციები. ნაკლოვანებანი იმითაა გამოწვეული, რომ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ფიზკულტურულ საბჭოებს, არ ამოწმებენ ინსტრუქტორებისა და მეთოდისტების საქმიანობას, ან სრულიადაც არ ჰყავთ ისინი.

ბოჭორიძემ თქვა, რომ საზოგადოების სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობაც მოიკოჭლებდა. ამ ნაკლის მაგალითად მომხსენებელმა დაასახელა ტყიბულის „მეშახტის", რუსთავის „მეტალურგის", გორის „დილას", ზუგდიდის „ენგურის" ფეხბურთელთა გუნდები.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ფიზკულტურული კოლექტივების ამოცანებზე ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **შ. ლომანაძემ,** ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ტურაბელიძემ,** თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის თავმჯდომარემ **ე. ბაბნიძემ,** საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა **ე. გორტლიშვილმა,** სპორტკლუბ „უშბას" წარმომადგენელმა **ტ. ჯანიაშვილმა,** აჭარის საოლქო საბჭოს ინსტრუქტორმა **ვ. ბუტნიკამა,** თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ **მ. დანდუროვმა,** ალპინისტურ ბანაკ „აილამას" უფროსმა **გ. ჯაფარიძემ.**

დასასრულ პლენუმმა მიიღო ღონისძიება.

# საქართველოს
## 1968 წლის ჩემპიონები სათხილამურო სპორტში





სურათებზე: ზევით — ლ გოგოლაძე; მეორე. რიგში (მარცხნიდან): მ. თვაური, კ. კეხბა, ი. ნასყიდაშვილი, გ. აბრამიშვილი; მესამე რიგში: ზ. გულბანი, კ. მიქაბერიძე, ს. თვაური, მ. გავა.

ფოტო ო. გელაშვილისა.

## აღდგენილი ტრადიცია

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს მუდამ ჰყავდა კარგი მოჭადრაკეები, მაგრამ ბოლო წლებში ტრადიცია რატომღაც მიივიწყეს. და აი, შარშან საჭადრაკო ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა ინსტიტუტის სპორტის მესვეურთა თაოსნობით. მოჭადრაკეებს მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი ჰ. არნშტეინი ჩაუდგა სათავეში.

მომავალი ექიმები კვირაში სამჯერ იკრიბებიან, არჩევენ სადებიუტო სისტემებს, ეცნობიან დიდოსტატთა შემოქმედებას, მონაწილეობენ ტურნირებსა და ერთდროული თამაშის სეანსებში.

წრეში 40-ზე მეტი სტუდენტია გაერთიანებული. ჯერჯერობით ქალები ცოტანი არიან და ამიტომ საინსტიტუტო პირველობაში მათი მხოლოდ ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ორწრიან მატჩტურნირში გაიმარჯვა სამკურნალო ფაკულტეტის მეორეკურსელმა თ. თევზაძემ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა პირველობამ, რომელშიც 22 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შვეიცარიული სისტემის 7 ტური სავსებით საკმარისი აღმოჩნდა უძლიერესთა სამეულის გამოსავლინებლად: I. დ. ფარლალავა, II. გ. უბილავა, III. ს. თოფურია (სამივე — სამკურნალო ფაკულტეტი).

— აღდგენილი ტრადიცია განვითარებას მოითხოვს, — ამბობს არნშტეინი. — განზრახული გვაქვს საჭადრაკო ცხოვრებაში მეტი სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი ჩავაბათ. ვაპირებთ შეხვედრების მოწყობას როგორც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების, ისე ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის მოჭადრაკეებთან.

**თ. ნინოშვილი.**

### საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში

## გუშინ...

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში დაიწყო სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატი. პირველი დღის შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მოსკოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო) 4:4, მოსკოვის უნივერსიტეტი — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 5:2, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 4:2, „დინამო" (თბილისი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 2:3, „დინამო" (ლვოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:6.

## საუკეთესონი

სსრ კავშირის წყალბურთის ფედერაციამ 4 წლის წინათ პირველად გამოაქვეყნა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წყალბურთელთა სია. მას შემდეგ ეს ყოველწლიურად კეთდება. ფედერაციამ შარშანდელი სეზონის მიხედვით შეადგინა სია, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

| | დაბადების წელი | გუნდის დასახელება |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| ვ. გულიაევი | 1941 | სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) |
| ო. ბოვინი | 1946 | „დინამო" (მოსკოვი) |
| ი. მიტიანინი | 1946 | მოსკოვის უნივერსიტეტი |
| **მცველები** | | |
| ა. დოლგუშინი | 1946 | სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი. |
| ბ. გრიშინი | 1938 | „დინამო" (მოსკოვი) |
| ვ. პუშკარიოვი | 1941 | „ტორპედო" (მოსკოვი) |
| გ. ჩიქვანაია | 1939 | „დინამო" (თბილისი) |
| ა. აკიმოვი | 1947 | სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი |
| გ. ბონდარენკო | 1948 | „დინამო" (კიევი) |
| **ნახევარმცველები** | | |
| ა. შიდლოვსკი | 1941 | სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი. |
| ა. ბარკალოვი | 1946 | „დინამო" (ხარკოვი) |
| ვ. ჟმუდსკი | 1947 | „დინამო" (ლვოვი) |
| ბ. პოპოვი | 1941 | მოსკოვის უნივერსიტეტი |
| ი. სხირტლაძე | 1945 | „დინამო" (თბილისი) |
| ე. კოტელნიკოვი | 1948 | „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) |
| **თავდამსხმელები** | | |
| ვ. სემიონოვი | 1938 | სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი. |
| ვ. სკოკი | 1946 | „დინამო" (მოსკოვი) |
| ლ. ოსიპოვი | 1948 | მოსკოვის უნივერსიტეტი |
| ი. გრიგოროვსკი | 1939 | „დინამო" (მოსკოვი) |
| ბ. გორტკევიჩი | 1937 | კასპიის ფლოტილია (ბაქო) |
| ნ. ბარანოვი | 1946 | „დინამო" (მოსკოვი) |

**შენიშვნა:** ქართველი წყალბურთელები გ. ჩიქვანაია და ი. სხირტლაძე წლეულს მოსკოვის გუნდებში თამაშობენ: გ. ჩიქვანაია — „დინამოში", ი. სხირტლაძე — „ტორპედოში".

# სამხრეთაფრიკელ რასისტებს ოლიმპიურ თამაშებში ადგილი არ უნდა ექნეთ!

სპორტის მოყვარულებისთვის უკვე ბევრი რამ არის ცნობილი: 15 თებერვალს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გრენობლში მოაწყო კენჭისყრა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდის მონაწილეობის საკითხი. ხმები ასე განაწილდა: 37 მომხრე, 28 მოწინააღმდეგე, ერთმა თავი შეიკავა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებაში ლაპარაკია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ რაღაც დათმო, მაგრამ სახელდობრ რა „დათმობაა“ ეს?

როგორც გამოირკვა, რასისტებს გადაუწყვეტიათ ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანონ რამდენიმე ფერადკანიანი სპორტსმენი და ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის დროს სტადიონზე თეთრებთან ერთად გავლის უფლებაც მისცენ მათ.

ამ „დათმობის“ ნამდვილი აზრი კარგად ახსნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფორსტერმა, რომელმაც ჟურნალისტებს ეს განუცხადა: „ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ჩვენთვის ძალზე სასურველია, მაგრამ ამასთან დაკავშირებული ვერავითარი ტაქტიკური ხერხი ვერ გვაიძულებს საკუთარი, ტრადიციებით განმტკიცებული კანონმდებლობის შეცვლას“.

რა კანონმდებლობა და ტრადიციებია ეს? სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შავკანიანი და თეთრკანიანი სპორტსმენები ერთმანეთს ვერ შეეჯიბრებიან, სტადიონებისა და სპორტული მოედნების ტრიბუნებზე ადგილები „თეთრებისა“ და „შავებისთვის“ დღესაც ეკლიანი მავთულითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი, სულ ახლახან მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც მკაცრი კონტროლი დამყარდა სასკოლო სპორტულ მოედნებზეც. თეთრკანიანთა სკოლების მოსწავლეებს ამიერიდან „ფერადკანიანთა“ სკოლების მოსწავლეებთან სპორტული შეჯიბრების უფლება არა აქვთ. აფრიკელ ფერადკანიან და თეთრკანიან ბავშვებს სასტიკად ეკრძალებათ ერთი და იმავე აუზებით, სპორტული მოედნებით, კორტებით, სტადიონებით სარგებლობა. სხვათა შორის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაგალითზე იგივე კანონპროექტი იშვა სამხრეთ როდეზიაშიც.

შემთხვევითი როდია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებამ მსოფლიოს ყველა პატიოსანი სპორტსმენის, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. რასისტების მიმართ თავისი დამოკიდებულება კვლავ დაამტკიცა სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც მკაცრად დაგმო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას პროტესტი გამოუცხადა აფრიკის უმაღლესი საბჭოს სპორტის საკითხების აღმასრულებელმა ბიურომ, რომელიც ბრაზავილში მუშაობს. ბიურომ ერთხმად დაუჭირა მხარი მექსიკის თამაშების ბოიკოტს. ვიდრე სესია მუშაობას დაიწყებდა, საფრანგეთის სააგენტოს ფრანს პრესის კორესპონდენტი წერდა: „არის საშიშროება, რომ აფრიკის ქვეყნების უმეტესობა არ მიიღებს მონაწილეობას მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში, რომ მექსიკაში არ გამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში ბიკილა, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 10 ათას მეტრზე რბენაში გამუდი, მეხიკოს ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი საშუალო მანძილებზე რბენაში კეინო და კენიელი კიპრუგუტი. არის იმის საშიშროებაც, რომ აფრიკელთა უარი ხელს შეუწყობს თამაშების ბოიკოტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ზანგმა სპორტსმენებმა წამოიწყეს“. ბრაზავილის სხდომამ დაადასტურა ფრანს პრესის კორესპონდენტის სიტყვები.

## პრეზიდენტის უცნაური პოზიცია

როგორც ჩანს, სწორედ მოსალოდნელმა საფრთხემ აიძულა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი, რომ უჩვეულო აქტივობა გამოეჩინა. 80 წლის ამერიკელმა მილიონერმა შემოიარა დასავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქები და განცხადებათა რამდენიმე სერია გამოაქვეყნა. მან რამდენიმე ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებსაც.

პარიზში ბრენდეჯმა კვლავ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ფარისევლობის ყველა რეკორდი გააუქმა.

„ოლიმპიური შეჯიბრება ტარდება არა ეროვნებათა, არამედ ცალკეულ პირებს შორის“, — გვარწმუნებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. ამ განცხადების საფუძველზე იგი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ 1968 წელს მეხიკოში იწვევენ არა რასისტულ სამხრეთ აფრიკას, არამედ „ზოგიერთ გამოჩენილ სპორტსმენს“. ამ სპორტსმენებს ხომ იგივე უფლებები ენიჭებათ, რაც ყველა დანარჩენს. ტაქტიკური ხერხი სამხრეთ აფრიკის რასისტებისა, რომელთაც თავიანთ გუნდში რამდენიმე ფერადკანიანი სპორტსმენი შეიყვანეს, ბრენდეჯმა დაახასიათა, როგორც „უდიდესი პროგრესი“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბრენდეჯი ცდილობს გაამართლოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეაქციული უმრავლესობა, რომელმაც მხარი დაუჭირა სამხრეთ აფრიკის რასისტებს. ამ განზრახვით შეპყრობილი პრეზიდენტი იქამდე მივიდა, რომ 1936 წელს ფაშისტური რაიხის მაშინდელ დედაქალაქში — ბერლინში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას თითქმის ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ „დარტყმად“ მიიჩნევს.

ბრენდეჯი თავს იწონებს: ბერლინის ოლიმპიადაზე მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულმა სპრინტერმა, ამერიკელმა ზანგმა ჯესი ოუენსმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა — 100 და 200 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში და ესტაფეტაში 4×100 მეტრზეო. მაგრამ ჰიტლერმა ოლიმპიური სტადიონი დატოვა, რათა სახელგანთქმული ზანგი სპორტსმენისთვის ხელი არ ჩამოერთმია.

ბრენდეჯს თითქოს აღარ ახსოვს, რომ ჰიტლერელებმა ბერლინის ოლიმპიადა ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის გამოიყენეს. ისინი ოლიმპიადის დღეებში საზეიმო დემონსტრაციებს აწყობდნენ და ფაშისტურ ლოზუნგებს ისროდნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრენდეჯმა თავი ვერ შეიკავა და ინტერვიუში სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგაც გაილაშქრა. იგი გვარწმუნებს, რომ ბოიკოტის უარყოფა „ერთადერთი შანსი და უდიდესი სიკეთე იქნება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფერადკანიანი სპორტსმენებისთვის“.

ამას წინათ ლონდონში სიტყვით გამოვიდა სამხრეთ აფრიკის არარასისტული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი კრის დე ბროლიო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება „ეწინააღმდეგება ოლიმპიურ იდეალებს და ართულებს რასობრივ ურთიერთობას სპორტულ სამყაროში“.

„ჩვენ, — თქვა კრის დე ბროლიომ, — მადლობელი ვართ სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც მხარს გვიჭერენ რასისტებთან ბრძოლაში. გვინდა დავარწმუნოთ ყველა ჩვენი მეგობარი, რომ არ შევწყვეტთ ამ ბრძოლას, ვიდრე სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე რასობრივი დისკრიმინაცია არ მოისპობა. იმით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მისცა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მხარს უბამს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს“.

**ა. გურკოვი,**
**მ. ზასლავსკი.**

• •

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი ევროპის ქვეყნებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. როგორც იუპი-ს სააგენტო იუწყება, 1 მარტს ჩიკაგოში იგი ცხრა საათს ეთათბირა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, პედრო რამირეს ვასკესს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მექსიკელ წევრებს.**

**2 მარტს, ღამით, ფრანს პრესის სააგენტომ თავისი ჩიკაგოელი კორესპონდენტის დეპეშა მიიღო. ამ დეპეშაში ნათქვამია: „პარასკევს ევერი ბრენდეჯმა განაცხადა, რომ მექსიკის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა სიტუაცია, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენთა მოსალოდნელი მონაწილეობის გამო შეიქმნა. მან თქვა, რომ ამ საკითხის გადასასინჯად ალბათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სესიის მოწვევა გახდება საჭირო. ბრენდეჯმა განაცხადა, რომ ეს თხოვნა მოუვიდა ბელგიიდან და იტალიიდან. მისი აზრით, სესია შეიძლება მოიწვიონ 30-60 დღის განმავლობაში“.**

**შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოლიმპიურ მოძრაობაში მოსალოდნელი განხეთქილების საფრთხემ და მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაძრულმა პროტესტის ნაკადმა პოზიცია შეაცვლევინა პრეზიდენტს.**

## ახალი ამბები

● **კიროვი, 3 მარტი.** რსფსრ-ს ახალგაზრდა ძალოსანთა აქ მიმდინარე შეჯიბრებაში 18 წლის სპორტსმენმა, რუზაევსკელმა ი. ფილიმონოვმა (ქვესაშუალო წონა) მსოფლიოს ორი და სსრ კავშირის სამი რეკორდი დაამყარა. მან 135 კგ აჰიმა, 160,5 აჰკრა, ხოლო სამჭიდში 402,5 კგ დააგროვა. ფილიმონოვის მაჩვენებლები აჰიმვასა და აკვრაში მსოფლიო მიღწევებიცაა.

● **სვერდლოვსკი, 3 მარტი.** აქ დამთავრდა ნორვეგიისა და სსრ კავშირის მოციგურავეთა ტრადიციული მატჩი. საბჭოთა სპორტის ვეტერანმა, ხუთი ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ე. გრიშინმა უკანასკნელი სტარტი აიღო 500 მეტრზე რბენაში. ამჯერად იგი საუკეთესო იყო. 1.500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ნორვეგიელმა ბ. ტვეტერმა — 2.08,5. ს. სელიანინმა 10 ათას მეტრზე რბენაში საკავშირო რეკორდი დაამყარა (15.35,6), მაგრამ მაინც II ადგილზე გავიდა. გაიმარჯვა ნორვეგიელმა გუტორმსენმა — 15.34,5. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს სტუმრებმა — 280,5:263,5. მრავალჭიდის არაოფიციალურ ჩათვლაში ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა ახალგაზრდა ალმაათელ სპორტსმენს ე. კერჩენკოს — 179,228 ქულა.

● **ინცელი (გფრ), 3 მარტი.** ცნობილმა ჰოლანდიელმა მოციგურავე ქალმა ს. კაიზერმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 1.000 მეტრზე რბენაში — 1.31,0. წინანდელი მიღწევა 1968 წლიდან ეკუთვნოდა ლ. სკობლიკოვას და 1.31,8 იყო.

● **ტურინი, 3 მარტი.** მოსკოვის „დინამოს“ რაპირისტმა ქალებმა მესამედ ვეღარ დაისაკუთრეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, რომელიც 1966 წლიდან თამაშდება. მათ წააგეს ბუქარესტის „სტიაუასთან“ — 7:9. საპატიო თასი რუმინელებს გადაეცათ.

● **ტორონტო, 3 მარტი.** გაზეთ „ტორონტო ტელეგრამის“ რედაქციამ აქ გამართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. 3 მილზე რბენაში II ადგილი დაიკავა ვორონეჟელმა ნ. სვირიდოვმა. მისი შედეგი—13.21,2 ევროპის ახალი მიღწევაა. პირველობა მსოფლიოს ახალი მიღწევით (13.15,2) მოიგო ამერიკელმა ტ. სმითმა.

● **გორკი, 3 მარტი.** მოციგურავე ვაჟთა საკავშირო თასის გათამაშებაში 500 მ ეტრზე რბენა მოსკოველი ა. ივანოვისა და ვ. ტროიცკის (ყაზახეთი) გამარჯვებით დამთავრდა. ამ წყვილში ივანოვი პირველი იყო — 41,2. ტროიცკიმ მასთან ნახევარი წამი წააგო. მათი შედეგების გაუმჯობესება შემდეგ ვეღარავინ შეძლო.

● **ტაშკენტი, 4 მარტი.** მძლეოსანთა შეჯიბრებაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა რ. კლიმმა. მან ურო ტყორცნა 71 მეტრსა და 88 სანტიმეტრზე. ეს 42 სანტიმეტრით აღემატება მისსავე წინანდელ რეკორდს.

## პირველი მატჩი

**85 ათასი მაყურებელი დაესწრო მეხიკოს „აცტეკის“ სტადიონზე მექსიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრას, რომელიც 3 მარტს შედგა.**

**საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0. საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: პშენიჩნიკოვი, აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ისტომინი, საბო, ანიჩკინი, ჩისლენკო, მალოფეევი, ასათიანი, ესკოვი.**

## მექსიკა წინააღმდეგია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებამ 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობის თაობაზე მექსიკაში დიდი მღელვარება გამოიწვია.

როგორც ცნობილია, მექსიკელ ხალხს თავი არ დაუზოგავს, რომ ღირსეულად შეხვედროდა ხუთი კონტინენტის წარგზავნილებს. ახალი სპორტული ნაგებობების, მომავალი ოლიმპიური სოფლის საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების მშენებლობისა და გზების შეკეთებისთვის დიდძალი თანხა დაიხარჯა. სავსებით ბუნებრივია, რომ მექსიკელებს ამდენი ნაშრომის წყალში ჩაყრა არ უნდათ. მათ ნაჯაფარს კი საფრთხე ემუქრება. გაზეთები ყოველდღიურად იუწყებიან, რომ ოლიმპიურ თამაშებს სულ უფრო ბევრი ქვეყანა უცხადებს ბოიკოტს.

მექსიკელები კიდევ უფრო შეაშფოთა საბჭოთა პრესის გამოხმაურებამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე. არავინ მალავს, რომ, თუ სოციალისტური და აფრიკის ქვეყნები ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარს იტყვიან, თამაშებს მარცხი ემუქრება.

მექსიკის ცნობილი ადვოკატების, ექიმების, ინჟინრების, არქიტექტორების, პროფესორების დიდმა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მკაცრადაა დაგმობილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება. განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენ ქვეყანას მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი საუკუნოებრივი ტრადიცია აქვს ყოველგვარი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა, სულ ერთია, კანის ფერი გამოიწვევს იმ დისკრიმინაციას, რელიგიური სულისკვეთება თუ პოლიტიკური მრწამსი. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა: იმ ხალხებმა, რომლებიც ჩვენთან ერთად გამოხატავენ უკმაყოფილებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის განზრახვის გამო, ამ ორგანიზაციას თავისი გადაწყვეტილების შეცვლა უნდა მოთხოვონ“.

ინტელიგენციის ეს წარმომადგენლები საზოგადოებრიობის ფართო ფენის სახელით გამოდიან და აცხადებენ: „საერთო იდეალები, რომლებიც მექსიკის ხალხს აფრიკის ქვეყნების ხალხებთან აკავშირებენ, მუდამ საერთაშორისო გადაწყვეტილებებზე მაღლა უნდა დავაყენოთ. მექსიკა მხარს უჭერს აფრიკის განმათავისუფლებელ ბრძოლას კოლონიალიზმის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამოვლინების წინააღმდეგ“.

მექსიკის პროგრესულ ჟურნალისტთა წრეებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას განიხილავენ, როგორც მორალურ დივერსიას მათი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც არასოდეს ყოფილა რასობრივი დისკრიმინაცია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახლანდელი გადაწყვეტილება მექსიკას თითქმის ამ დისკრიმინაციის მონაწილედ აქცევს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იძულებულია დაემორჩილოს კომიტეტს და მიიღოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული დელეგაცია.

ვინაიდან მექსიკის საზოგადოებრიობის მღელვარება მატულობს, XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პედრო რამირეს ვასკესმა განაცხადა:

„სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ, ვერ გადაწყვეტს ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხს. ამის უფლება მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აქვს.

ცნობილია, რომ მექსიკის წარმომადგენლები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მექსიკამ ბევრჯერ დაუჭირა მხარი აფრიკის ქვეყნების სამართლიან პროტესტს დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ჩვენ ახლაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს აფრიკის ყველა ხალხთან. საორგანიზაციო კომიტეტი იმედოვნებს: ჩამოყალიბდება მისაღები ფორმულა, რომელიც შესაძლებელს გახდის ახალგაზრდობის ძმურ შეხვედრას მექსიკაში და დაამტკიცებს კაცობრიობის უმაღლეს იდეალებს“.

**ნ. ლარინი.**

### ბოიკოტს უერთდებიან

თუ ასპარეზობაში სამხრეთ აფრიკის სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას, აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყანა ბოიკოტს უცხადებს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს. ახლა ამ ქვეყნებს ინდოეთთან ერთად პაკისტანიც შეუერთდა.

როგორც იუპის სააგენტოს კორესპონდენტი გვაცნობებს, ეს გადაწყვეტილება უკვე ოფიციალურად გამოქვეყნდა. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან გადმოგვცემს: სოციალურ საქმეთა მინისტრმა ხალედ ახმად ელ-მაუდაფმა განაცხადა, რომ კუვეიტმა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ბოიკოტს.

იგივე გადაწყვეტილება მიიღეს სხვა არაბულმა ქვეყნებმაც — არაბეთის გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, სირიამ, ალჟირმა და საუდის არაბეთმა.




# იაკუშინი თავის გუნდზე და მეტოქეებზე

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, როგორც ცნობილია, მექსიკაში იმყოფება. მოსკოვიდან გუნდის გამგზავრების წინ ნაკრების უფროს მწვრთნელს **მ. იაკუშინს** ეწვია ახალი ამბების სააგენტოს წარმომადგენელი **ი. ბარუ** და ესაუბრა მას.

ჩვეულების საწინააღმდეგოდ, პირველი შეკითხვა, უფრო სწორად, კონტრშეკითხვა დასვა თვით მ. იაკუშინმა:

— საინტერესოა, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? პრესიდან ხომ უკვე ცნობილია ვის უნდა ვეთამაშოთ წლეულს, განსაზღვრულია ჩვენი გუნდის შეხვედრათა ვადები უნგრელებთან, ყველამ იცის ვის ვხვდებით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. დაბოლოს, რამდენიმეჯერ მომიხდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ნაკრების შარშანდელი შემადგენლობა ძირითადად შენარჩუნებულია, თუმცა შეიძლება მოხდეს ზოგიერთი ცვლილება. რაღაზე უნდა ვისაუბროთ?

● **სასაუბრო არის. თუნდაც შემადგენლობაზე. მაგალითად, ბევრს აინტერესებს რატომ არაა ნაკრების კანდიდატთა შორის სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მ. მუსტიგინი. რაც უნდა ვთქვათ, მან 19 ბურთი გაიტანა...**

— მარტო ბურთების გატანა არ შეიძლება ამოსავალ წერტილად მივიჩნიოთ, — ამბობს იაკუშინი. — ჯიმი გრივსი ინგლისში ყველაზე შედეგიან ფორვარდად ითვლებოდა, მაგრამ გაიხსენეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მან მხოლოდ პირველ მატჩში ითამაშა და შემდეგ მინდორზე აღარ გამოჩენილა. რაც შეეხება მუსტიგინს, შემიძლია ვთქვა შემდეგი: ესაა წინა ხაზის ფორვარდი, რომელიც უნარიანად ირჩევს პოზიციას შეტევის დასამთავრებლად და ზუსტი დარტყმაც აქვს. მაგრამ მუსტიგინი 30 წლისაა. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ სტრელცოვიც ასეთივე ასაკისაა, მაგრამ სტრელცოვი, ჯერ ერთი, მხოლოდ დამკვრელ ძალას არ წარმოადგენს თავდასხმაში, იგი შეტევის ორგანიზატორიცაა, მეორეც, მას შეუძლია შეასრულოს დიდი სამუშაო და სწორედ ასეთი ფორვარდები ფასობენ თანამედროვე ფეხბურთში.

● **რით მოგეწონათ ბაქოელი ნ. სმოლნიკოვი, რომელიც მექსიკაში მიგყავთ? იგი 19 წლისა და „ნეფტიანიკის“ ძირითად შემადგენლობაშიც იშვიათად უთამაშია.**

— პელეს ვარსკვლავი შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში ამოვიდა, როცა იგი 17 წლისა იყო. მანამდე მას არავინ იცნობდა. სტრელცოვი ნაკრებში 19 წლის ასაკში თამაშობდა. ეს რაც შეეხება ასაკს. ისე კი, სმოლნიკოვი საინტერესო ფორვარდია. ევროპის იუნიორთა შარშანდელ პირველობაში მან შვეციისა და თურქეთის გუნდების კარში 2 გადამწყვეტი ბურთი გაიტანა, რომლებმაც ჩვენს გუნდს გამარჯვებები მოუტანა. რატომ არ უნდა გამოვცადოთ იგი ეროვნულ ნაკრებში? რასაკვირველია, მე გარანტიას არ ვიძლევი, რომ იგი თავიდანვე დაიმკვიდრებს ადგილს შემადგენლობაში, მაგრამ ახალგაზრდა თავდამსხმელის შემოწმება ურიგო არ იქნებოდა. ნაკრები ხომ თავის გზას წლეულს არ ამთავრებს და ჩვენც ვალდებული ვართ წინ ვიყუროთ. ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებით, ჩვენ, მაგალითად, ვცდით 20 წლის თბილისელ კახი ასათიანს. ნაკრებში გზა დაკეტილი არა აქვთ სხვა ნიჭიერ მოთამაშეებსაც. მე მიმაჩნია, რომ ახალბედების გამოცდისა და გამოწრთობისთვის ყველაზე უკეთესი საშუალებაა მათი მონაწილეობა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში ნაკრების შემადგენლობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს დიდი ფსიქოლოგიური სტიმულია.

● **კმაყოფილი ხართ თუ არა მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრით?**

— ყველაზე უფრო კმაყოფილი უნდა იყვნენ გუნდები, რომლებიც მოხვდნენ IX და XIV ჯგუფებში — ინგლისი და მექსიკა, რომლებიც სრულ მარტოობაში იმყოფებიან. კანონი მათ საამისო უფლებას აძლევს. ახლა რაც შეეხება ჩვენს, IV ჯგუფს. მე მსმენია და წამიკითხავს კიდეც, რომ კენჭისყრა იღბლიანი გვქონდა. გარკვეული თვალსაზრისით ეს ასეცაა, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ თურქეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებთან მომავალ შეხვედრებში უკვე განაღდებული გვაქვს 8 ქულა. უსიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ ჩვენ ხომ თურქეთთან საკუთარ მინდორზეც გვაქვს დამარცხება განცდილი?

თუ გავეცნობით ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეების შარშანდელ საერთაშორისო შეხვედრათა ბალანსს, ვნახავთ, რომ იგი ორივე მეტოქეს უარყოფითი აქვს: თვითეულ მათგანს მხოლოდ თითო გამარჯვება გააჩნია. და, მაინც, ჩრდილოეთ ირლანდიამ დაამარცხა ისეთი პირველხარისხოვანი გუნდი, როგორიცაა შოტლანდია, ხოლო თურქებს გამარჯვება აქვთ ირლანდიელებთან და ფრედ დამთავრებული მატჩები — ესპანეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან. ერთი სიტყვით, მზადება ამ მატჩებისთვის სრული სერიოზულობით უნდა წარიმართოს.

● **ხომ არ გვეტყვით თქვენს მოსაზრებებს სხვა ჯგუფების სავარაუდო გამარჯვებულებზე?**

— გამოგიტყდებით, არ მიყვარს პროგნოზები, მაგრამ რახან საკითხი დაისვა, მოდით, ვცადოთ მკითხაობა. ამრიგად, I ჯგუფი: პორტუგალია, შვეიცარია, რუმინეთი, საბერძნეთი. აქ დიდი „ომია“ მოსალოდნელი და გამარჯვებულზეც ვერაფერს გეტყვით. II ჯგუფი: უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, დანია. უკეთესი შანსები, რასაკვირველია, უნგრელებს აქვთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ჩეხოსლოვაკიაც. III ჯგუფი: იტალია, გდრ, უელსი. უპირატესობას იტალიელებს ვანიჭებ. V ჯგუფი: საფრანგეთი, შვეცია, ნორვეგია. შვეციის ფეხბურთი კარგა ხანია ვეღარ აღწევს თავის ადრინდელ სიმაღლეს, ამიტომ ფრანგები მეტ შანსებს ინარჩუნებენ გამარჯვებისთვის. VI ჯგუფი: ესპანეთი, იუგოსლავია, ბელგია, ფინეთი. დავა გადაწყდება პირველ ორ გუნდს შორის. VII ჯგუფი: გფრ, შოტლანდია, ავსტრია, კვიპროსი. აი, ამოცანა. კვიპროსი სერიოზულ მეტოქეობას ვერავის გაუწევს, დანარჩენები კი, ეტყობა, დაახლოებით თანაბარი ძალით იბრძოლებენ. VIII ჯგუფი: ბულგარეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი. ბულგარელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ პოლონელებსაც და ჰოლანდიელებსაც შეუძლიათ წარმატებაზე ფიქრი. X ჯგუფი: არგენტინა, პერუ, ბოლივია. რა თქმა უნდა, არგენტინა. XI ჯგუფი: ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, პარაგვაი. ეჭვი არ მეპარება, რომ გაიმარჯვებს ბრაზილია. XII ჯგუფი: ურუგვაი, ჩილი, ეკვადორი. აქ უნდა შევახსენოთ, რომ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ყველა ფინალისტი წინასწარ იყო განაწილებული ჯგუფებში. სამხრეთ ამერიკიდან მაშინ თამაშობდა 4 გუნდი (ბრაზილიელები ფინალში შესარჩევი თამაშების ჩაუტარებლად მოხვდნენ, როგორც მსოფლიო ჩემპიონები), ახლა კი ამ კონტინენტზე 3 ჯგუფია. ამიტომ მოხდა, რომ XII ჯგუფში კენჭისყრით მოხვდა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის 2 მონაწილე — ურუგვაი და ჩილი. ვინ გაიმარჯვებს მათ შორის, ძნელი სათქმელია.

XIII ჯგუფი: ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკის ქვეყნები. ვერაფერს გეტყვით. XV ჯგუფი: აზია და ავსტრალია. აქ, ალბათ, გაიმარჯვებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. XVI ჯგუფი: აფრიკის ქვეყნები. აქაც ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან აფრიკაში შექმნილია რამდენიმე ქვეჯგუფი და ჩათვლითი სისტემაც გართულებულია.

● **ბოლო შეკითხვა: როგორღაც გაზეთებში გამოჩნდა ცნობა ერთ-ერთი ამერიკელი ფეხბურთის საქმოსნის განცხადების თაობაზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს მექსიკაში მოიგებს აშშ-ს გუნდი. რას იტყვით ამაზე?**

— არაფერს.

## „ენძელას“ თასზე

2, 3 და 4 მარტს შედგა „ენძელას“ პრიზის მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების მორიგი, III ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები ხოსტაში შეხვდნენ თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებს. მოსკოვის „ტორპედო“, როგორც ცნობილია, უელსში იმყოფება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩის ჩასატარებლად „კარდიფ-სიტისთან“, ამიტომ ქუთაისელებს ამ გუნდის სათადარიგო შემადგენლობა ეთამაშა. მატჩი მოიგო ქუთაისის „ტორპედომ“ ანგარიშით 2:0.

გამარჯვებათა გზით სიარულს განაგრძობს თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც სოხუმში შეხვდა ტყიბულის „მეშახტეს“. რკინიგზელებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს მორიგი 2 ქულა — 1:0.

ბათუმის დინამოელები მინგეჩაურში ეთამაშნენ უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — კიროვაბადის „დინამოს“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს კიროვაბადელებმა.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:1, „შახტიორი“ (დონეცკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „პოლიტოტდელი“ (ტაშკენტის ოლქი) 2:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:2, „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „ზარია“ (ლუგანსკი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 0:2.

გუშინ თბილისის დინამოელებს ლესელიძეში თამაში ჰქონდათ მინსკის „დინამოსთან“. შეხვედრის ანგარიშია 2:0 მინსკელთა სასარგებლოდ.

## ვეტერანის სახელობისა

**3 მარტს დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების წინასასეზონო ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე.**

მოგვყავს I ტურის შეხვედრათა შედეგები: „მუქურა“ (ქობულეთი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „დილა“ (გორი) 1:5, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 0:2.



სურათზე: მატჩის მომენტი რუსთავის „მეტალურგსა“ და ცხინვალის „სპარტაკს“ შორის. ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

ჩემპიონატის მორიგ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ წააგო ლონდონის „ჩელსისთან“ — 1:3. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბერნლი“ — „მანჩესტერ-სიტი“ 0:1, „ევერტონი“ — „კოვენტრი-სიტი“ 3:1, „ლესტერ-სიტი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 3:1, „შეფილდ უენსდეი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 1:1, „სანდერლენდი“ — „საუთჰემპტონი“ 0:3, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „ლივერპული“ 1:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტ.“ | 30 | 60:36 | 43 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 29 | 52:24 | 40 |
| „ლივერპული“ | 30 | 46:25 | 39 |

მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქემ, ინგლისის II ლიგის გუნდმა „კარდიფ-სიტიმ“ შაბათს თავის მინდორზე მორიგი დამარცხება განიცადა ლიგის აუტსაიდერ „ბრისტოლ-სიტისთან“ (0:1) და ახლა XIV ადგილზეა.

ლონდონის „უემბლიზე“ ინგლისის საფეხბურთო ლიგის თასის გათამაშების ფინალში ადგილობრივი „არსენალი“ შეხვდა „ლიდს იუნაიტედს“. გაიმარჯვა „ლიდს იუნაიტედმა“ — 1:0.

### შოტლანდია

განვლილი ტურის 9 შეხვედრაში გატანილ იქნა 50 გოლი! „გლაზგო რეინჯერსმა“ შინ მოუგო „სენტჯონსტონს“ — 6:2. კილმარნოკში ამავე სახელწოდების ადგილობრივი კლუბის კარში „სელტიკის“ ცენტრფორვარდმა უოლესმა 4 გოლი გაიტანა. „სელტიკმა“ მოიგო მატჩი — 6:0. ტურის სხვა შედეგები ასეთია: „აბერდინი“ — „პარტიკ თისტლი“ 0:1, „კლაიდი“ — „დანფერმლაინი“ 4:3, „დანდი“ — „ეირდრიონიენსი“ 6:2, „ფორკერკი“ — „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ 4:1, „ჰიბერნიენი“ — „სტერლინგ ალბიონი“ 5:2, „მადერუელი“ — „დანდი იუნაიტედი“ 1:3, „რეით როვერზი“ — „მორტონი“ 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 24 | 67:21 | 45 |
| „სელტიკი“ (გლაზგო) | 23 | 67:18 | 41 |
| „ჰიბერნიენი“ | 24 | 50:29 | 33 |

### ესპანეთი

პირველობის XXIII ტურში მადრიდის „რეალი“ სევილიაში შეხვდა ადგილობრივ „ბეტისს“ და დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა — 2:1. დანარჩენი შედეგები ასეთია: „ესპანიოლი“ — „რეალ-სარაგოსა“ 1:1, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „სევილია“ 3:3, „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „რეალ სოსიედადი“ 1:1, „ვალენსია“ — „მალაგა“ 2:1, „კორდოვა“ — „ბარსელონა“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 23 | 44:20 | 32 |
| „ფკ ბარსელონა“ | 23 | 36:23 | 30 |
| „ვალენსია“ | 23 | 43:27 | 29 |

### იტალია

ჩემპიონატის ლიდერი — „მილანი“ შინ შეხვდა „კალიარის“ და წააგო მატჩი — 0:1. ბოლონიაში ადგილობრივმა „ბოლონიამ“ სძლია მილანის „ინტერნაციონალეს“ — 2:1. სხვა შედეგები ასეთია: „ბრეშია“ — „ფიორენტინა“ 1:1, „რომა“ — „იუვენტუსი“ 0:0, „ტორინო“ — „ატალანტა“ 4:1, „ვარეზე“ — „სპალი“ 2:0, „მანტოვა“ — „ლანეროსი“ 1:1, „ნაპოლი“ — „სამპდორია“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 22 | 39:19 | 32 |
| „ტორინო“ | 22 | 34:18 | 27 |
| „ვარეზე“ | 22 | 25:17 | 27 |

### გფრ

ლიდერმა — „ფკ ნიურნბერგმა“ მიუნჰენში დაამარცხა ადგილობრივი „მიუნჰენ 1860“ — 2:1. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ შინ მოუგო თასის მფლობელს — მიუნჰენის „ბაიერნს“ — 2:1. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) — „ალემანია“ 3:0, „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) — „დუისბურგი“ 3:0, „ბორუსია“ (ნოიენკირხენი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 3:2, „ფკ კიოლნი“ — „კარლსრუე“ 4:0, „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) — „ჰანოვერ 96“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფკ ნიურნბერგი“ | 24 | 56:26 | 35 |
| „ბორუსია“ (მენჰენგ.) | 24 | 63:36 | 30 |
| „ფკ კიოლნი“ | 24 | 49:36 | 28 |

## გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი საქართველოს გუნდებისთვის.

კორექტორების დაუდევრობით გაიპარა შეცდომა: 8 ივნისს ქუთაისის „ტორპედო“ ხვდება არა „არარატს“, არამედ „კაირატს“.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**


ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)



5-14 მარტი
წყალბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
5 მარტის შეხვედრათა კალენდარი

17 ს. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლვოვი).

18 ს. კასპიის ფლოტილია (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

19 ს. „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი).

20 ს. „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — მოსკოვის უნივერსიტეტი.

21 ს. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 03162